2001-134

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №1-1

ქ. თბილისი "15" იანვარი 2014 წელი

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე3 მუხლის 1 პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის თანახმად, **ს.ს.ი.პ. „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს** მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ერთის მხრივ **ს.ს.ი.პ. „გარემოს ეროვნული სააგენტო" წარმოდგენილი** მისი **უფროსის შალვა ჯავახაძის** სახით, მეორეს მხრივ -კავშირი" **საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ცენტრი „(ITDC),** მისი **დირექტორის მამუკა მონავარდისაშვილის** სახით (შემდგომში "შემსრულებელი"), ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "დამკვეთი" ავალებს, ხოლო "შემსრულებელი" ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს ინტერნეტ სივრცე "დამკვეთის" კუთვნილი ვებ-გვერდის (www.nea.gov.ge) გასათავსებლად შემდეგი პარამეტრების შესაბამისად: მომსახურების პაკეტის მოცულობა 5 GB, საფოსტო ყუთები - 50, სამართავი პანელი cpanel – yes, ტრაფიკი - შეუზღუდავი, Mysql მონაცემთა ბაზა - 5, ქვედომეინი - 5. (ინტერნეტ მომსახურება CPV 72400000, ვებ საიტის ჰოსტინგის და მომსახურების სერვისები CPV 72415000).

1.2. დაფინანსების წყარო: სააგენტოს არასაბიუჯეტო სახსრები.

2. ხელშეკრულების ღირებულება და მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების 1.1 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების ყოველთვიური ღირებულება შეადგენს 29,16 ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 349,92 ლარს დღგ ჩათვლით.

2.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2014 წლის 15 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

2.4 მომსახურების განხორციელება დაიწყება 2014 წლის 15 იანვრიდან და გაგრძელდება 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. "შემსრულებელი" ვალდებულია ხელშეკრულების მოქმედების ვადაში უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება:

3.2. „დამკვეთი" ვალდებულია დროულად გადაუხადოს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხა:

3.3. „დამკვეთი" ვალდებულია დაიცვას "შემსრულებლის" მიერ დაწესებული მომსახურების წესები და პირობები.

3.4. ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უგზავნის მას წერილობით დასაბუთებულ შეტყობინებას დარღვევის მითითებით და მისი აღმოფხვრის მოთხოვნით.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო ანგარიშსწორება.

4.2 ანგარიშსწორება ხორციელდება ყოველი თვის ბოლოს მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

4.3. ანგარიშსწორების საფუძველია მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება და მიმწოდებლის მიერ ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენა.

5. ფორსმაჟორული გარემოებები

5.1. არცერთი მხარე არ არის პასუხისმგებელი მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის - თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით.

5.2. ფორსმაჟორულ გარემოებად ჩაითვლება კატასტროფის, სტიქიური უბედურების, საომარი მოქმედების შედეგად ძირითად საშუალებებზე გამაწადგურებელი (მთლიანი ან ნაწილობრივი) ზემოქმედება.

6 პასუხისმგებლობა

6.1. მხარეები პასუხისმგებლები არიან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებზე.

7. დავის გადაჭრა

7.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებებს, ყველა ღონე იხმარონ ნებისმიერი წამოჭრილი სადავო საკითხის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გადაწყვეტისათვის.

7.2. თუ შეთანხმება არ იქნა მიღწეული, საქმე განსახილველად გადაეცემა შესაბამის სასამართლო ინსტანციას.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების შეწყვეტა ვადამდე დასაშვებია ერთ–ერთი მხარის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე.

9. ხელშეკრულების დამატებითი პირობები

9.1. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

9.2. მხარეთა რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები გადადის მათ უფლებამონაცვლეებზე.

9.3. ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ამ ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ნებისმიერ დროს მხარეების მიერ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
აღნიშნული ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლიარად ქართულ ენაზე.
ყველა ეგზემპლიარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსრულებელი

საინფორმაციო ტექნოლოგიების
განვითარების ცენტრი
თბილისი, რუსთაველის 14
III სართული
ტელეფონი: (995 32) (995 32)249-00-49
საიდენტიფიკაციო კოდი/ID: 204426282
ანგარიში/Account:
სს "თბს-ბანკი"-ს მთაწმინდის ფილიალი
ა/ა GE35TB0700000000 700118
კოდი TBCBGE22

_____ მ. მონავარდისაშვილი

დამკვეთი

ს.ს.ი.პ. „გარემოს ეროვნული სააგენტო"
საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691
მისამართი: ქ. თბილისი
დ. აღმაშენებელის გამზ. №150
რეკვიზიტები: სს „პროკრედიტ ბანკი"
ბანკის კოდი: MIBGGE22
ა/ა № GE32PC0133400100000051
ტელ: 439 555

_____ შ. ჯავახაძე